


სასაღმისო ხაზენი

სულიკათეობიანი ღამეატიეზა

გახეთის № 148. კვირა, 31 ოქტომბერი 1910 წ. დამატების № 25



ქვაფხეთის წმ. გიორგის ბანახლეზული ტაძარი.



საზრანგეთის ცნობილი სინდიალისტი პატო.

უკანასკნელ გაფიცების დროს ეს „მეფე სინდიალისა“ (ელექტრონის მუშათა მდივანი), რომელსაც დაპატიმრებას უქადიდნენ, საზღვარ-გარეთ, ბელგიაში გაიქცა. ამ სურათზე დახატულია ის მომენტი, როცა პატო მერძევე ქალებს მიჰყავთ საზღვრამდის.

ლ ა ნ დ ი ა

დრამატული თხზულება ოთხ ნაწილად.

(მემდგობი *)

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი

თვალ-წინ არის იგივე ოთახი, სადაც ჯანდია „შემოქმედობდა“; მხოლოდ ეტუობა, რომ დროთა ბრუნვას თავისი სული შთაუბერია და უგუჯაფურისთვის გახურხეუდად სიძველის ქართი დაუბერია.

თვითონ ჯანდიაც შესულა ხანში, დროებს იგივე დაჰმანებია; მის ქართა ქრლას წარუტაცია მის სიჭაბუკე, მისი მხნეობა.

მეგობრის მხოლოდ ერთი წარბ-შეუხედავად; იგი წინანდებრ ჭაბუკია, მხნე და ამაყი, მხოლოდ სიღინჯე შეჭმარვია მის კერძულ სახეს, მეტი სიმტკიცით ჭიფოქავს მისი უფიქრო სიტყვა.

ჯანდიას ძველი ქანდაკება ერთ კუთხეში სდგას თავმინებებით. იმისი პირში შემოქმედება გათავგებულა სხანს დამარცხებით. იმის სანაცვლოდ ახალს აკეთებს, ძაღს და დონეს სულ იმას ადევს, დამარცხებულს და იმედ მოკლულს მაინც კიდევ სწამს რომ გაიმარჯვებს.

ლანდია ნუ თუ ეს შრომაც გათავდება იმ გამარჯვებით, რამაც დაჰმარხა საუკუნოდ ერთი ჩემი ცდა; ფუჰად მიქცია მთელი შრომა, ტკბილი იმედი, გლოვად შესცვალა, რასაც წინედ გულით ვიმდერდი!

ფრთებს ჭმლის სიჩუმე, შეფობს სიწუნაკე. ჯანდიას უკან სდგას მეგობარი და სულ წუნარის ხმით, თითქოს არა ჭსურს შორს გააფრინოს ნული საჩუმე, უურს ჩასხურხეულებს ცივად და მტკიცედ თითქოს ფოლადად ჭკვეთდეს თავის აზრებს.

მეგობარი. ამოაგებას ეტრუის შენი ტკბილი ოცნება, ამოაგებას ჰვეთავს შენი საჭრეთლის პირი.

არც ერთი ძეგლი კაცის ხელით ამ ქვეყნად ქმნილი არ შეედრება უკვდავებით ამოაგებას.

არც კაცის აზრი, არც მის კვენესა, არც სიხარული სამარადისოდ არ დარჩება ამ ქვეყანაზე. ყველას წაჰლექავს

ტალღათ ქშენა არარაობის, ყველას გააქრობს ქართა ქროლა ამოაგების.

ყური დაუგდე ბუღბუღო სტვენას, ყვავილთა ფურჩქენას, მათ ტკბილ სტვენაში, ნაზ შრიალში ჩუმად ჟღერს ჰანგი, ჰანგი სიფუქის, წარმავლობისა, ამოაგების...

თვალნი მიპყრ ნათელ სხივებს, ყველა სიტურფეთ, რაც გულს გითრთოლებს, თვალსა გტაცებს თავის მშვენებით და იქ შენ გულის სიამებე ღრმად თუ ჩაჰხედავ, სიფუქის გარდა სხვა ვერაფერს ვერ დაინახავ.

ნუ თუ გგონია, რომ სიცილი და ან ტირილი სამარადისოდ ჩავსახვის შენ კაცურ სახეს! — ერთიც გაჰქრება და მეორეც შენ გაუცნობლად! რასაც დრო წაჰლექს, გადიქცევა ამოაგებად.

შენი სიცოცხლით რა შეჰქმენი, რა გააკეთე? ნუ თუ გგონია უკვდავებს დაუდგი ძეგლი და ამა ქვეყნად ქარიზხლად მქროლ ამოაგებას ფრთანი შეჰკვეცე, შეასუსტე მისი მძლეობა?

რისთვის იშობე! რად იცოცხლე! რას ესწრაფოდი? ტკბილსა იმედებს ნატვრით გულში რად ინერგავდი! მარჯვე ოცნებით რად ეტრფოდი ციურ სამოთხეს, თუ კი სიფუქე ჩავიქრობდა სიხარულის მზეს?

რისთვის გინდოდა შენ სიცოცხლე, თუ მოჰკვდებოდი? რად ოცნებობდი, თუ კი ნატვრას ვერ მიღწევდი?

ვაჰ, რომ სიკვდილსაც ვერც ერთი გზით ვერ გაექცევი თორემ თვით იგი სიფუქეთა სიფუქე არის.

ლანდია. შენ ეხლა მიმდერ მაგ მწარე ხმებს და სულს მიშფოთებ, მაგრამ როდესაც ლაჰლაჰებდა გულში იმედი, შენ ქედს იხრიდი და ჩემ ნატვრას შენც შეჰხაროდი.

თუ დადგებოდა გაზაფხული ჩემი სიცოცხლის, აჰყავდელებოდა ჩემი ნატვრა, ტკბილი ოცნება, მაშინ შენი ხმით, აწ რომ მამცნობ ამოაგებას, ქებას უძღვნიდი, შეჰნატრიდი ჩემსა ცხოვრებას.



საზრანგეთის ცნობილი სინდიალისტი პატო. სამშობლოს საზღვარსა სტოვებს და სახსოვრად ერთს ყვავილს იღებს უბეში!

მეგობარი. არა, ლანდიაე! ჩემი თვალები მარად ხედვენ ამოაგებას, მე მარად ვისმენ მის ქარიზხლის ყოველმხრივ ქროლას.

ოდეს გავხედავ ქვეყნის იქით, ცხოვრების ბოლოს, თვალწინ მეხატვის შე უფსკრული ამოაგების! თვით სამყაროზე ფართე არის მისი სამზღვარი, ვგონებ განგებაც ვერ ჩასწვდება იმის სიბუნელს.

იქ მესმის მარად მის ქართ ქროლა თავზარ დამცემი! იქ ვხედავ მარად მის სიჩუმეს შემამძრწუნებელს.

ცისა მნათობნი, აზრნი ნათელნი იქ, მის წყვილადში ისე ჰქრებიან, რომ იმათ ნიშნად, მოსაგონებლად მქროლ სხივებიც კი არ რჩებიან...

* იტ. სურათებიანი დამატება № 23.

თითქოს უკვდავი ნაზი გრძობანი, კეთილი საქმე, ზოროტეზანი, კაცის დიდება, მის სიამაყე, ტკბილი ოცნება, გატაცებანი იმის უფსკრულში, მთლად უძიროში ისე უკვალოდ შთაინთქებაან, რომ თვით დემონიც ამ სისასტიკით თითქოს ჰკენესიან, იტრემლებიან; სივისა მტანჯველნი, მოხარხარენი, თითქოს თვითონაც იტანჯებიან, რომ საუკუნოდ დამარხულები არასდროს მკვდრეთით არ აღზდებიან.



აზიატორი მხაზარაძე.

ლანდია. თუ ჩემი ბედის ტურფა ვარსკვლავი ამოვიდოდა, გაბრწყინდებოდა და ჩემ სიცოცხლეს, მის მარად მნატვრელს, თვის ნათელ სხივებს უხვად მოჰფენდა, მაშინ კი მჯერა, რომ მაგ სიბნელეს ვერ გამოშლიდი თვალთა წინაშე. ველარც მასმენდი მაგ მწარე ჰანგებს, აწ რომ მიწამლაგ გრძობას და აზრებს.

მეგობარი. თუ სანატრელი იქნებოდა შენი ცხოვრება, იყვავილებდა ვით ედემი, სჩქეფდა ვით წყარო და ტრფობის, გრძობა ვით ჰაერი, გარს მოგერტყმოდა, სულ ერთი არის მე მაშინაც გეტყვოდი ჰანგებს ამოების თვალწინ გამშლელს და გამომსახველს. მხოლოდ სუსტი კი იქნებოდა მაშინ ჩემი ხმა და შენც სიამით მთლად დამტკბარი, გატაცებული ველარ ისმენდი ისე ფხიზლად ჩემ მწარე ჰანგებს.

ეხლა კი როცა გიცრუვდება ყველა იმედი, გაჰქარა ბურუსი გარს რომ ერტყა შენ ტკბილ მომავალს; მიმოფანტეს მთლად ღრუბლები, ცას რომ ჰფარავდენ და მზეთა ნახვით ტკბილ იმედებს გულს გინერგავდენ; ეხლა კი რიხით შემძლიან ხმა ავიმალლო! შენც ფხიზლად მისმენ, ნათლად ჰხედავ, რასაც გიჩვენებ, რადგან სიამე არ გაყრუებს, თვალთ არ გიბრკავებს და მხოლოდ იმედთ—გაცრუება შავ ღღეთ გითენებს.

აღშფოთებული წამოიჭრება ფეხზედ ღანდია, ძიხს დახარტებს გაშმაკებით თავის საჭრეთელს და ადეღვებით შემოუტყვს თავის შეგობას:

ლანდია. შენ ვინ მოგანდო ჩემი სიცოცხლის მესვეურობა, ქირის უფლობა! შხამად მერგება სულყოველთვის მე შენი ფიქრი და მზრუნველობა!

მე არ მწამს შენი შორს მხედველობა, არ მწამს სიფხიზლე შენთა სმენათა, ოჰ, რომ შემეძლოს პირველ ყოვლისა ამოვებად თვით შენ გაქცევი, შურს ვიძიებდი, გავიხარებდი, რომ ჩემ სიცოცხლეს ფერულად აქცევიდი.

მეგობარი. მართალი არის, მე თვით ბრმა ვარ, მაგრამ შენ კი ავიხელ თვალებს.

მართალი არის მე თვით ყრუ ვარ, მაგრამ შენ კი გასმენ ბევრ რამეს.

ლანდია. დახუჭე თვალნი, შეჰკარ ბაგენი, შენც დასვენე, მეც დამასვენე, თორემ სიკვდილი მომენატრება და შენც სიცოცხლეს გამოგასალმებ!

შემოდის ტურფა ფერმისდილი, დასუსტებული. რამეღმა ქარმა წარიტაცა მისი მშვენება! რამეღმა ეინვა, რამეღმა მზემ არ შეიბრალა და მთლად დაჰტანა დაუნდაბრად მისი სიღამაზე!

ნეტავ ვის ხელით გაძარცვულა ეგრე უჩინრად მისი სიტურფე, სინარჩავე, მგრძობობარობა! ხუ თუ თვით იგი არის ეგრე დაუნდაბარი, ვინკ სიღამაზე კაცთ სახეში ჰიჩვევად ჰქობა!

ტურფა. არ ვიცი საიდან, არ ვიცი რა სახით, გულს მებარება მე მწუხარება და ჟრუნტლად მთელ ტანში მივლის, თითქოს თვალეში დღეც მიბნელდება.

ოჰ, მანუგეშე ჩემო ლანდია! ჩემო იმედო, დამატკობელი!

ლანდია. რით განუგეშო! რით მოგცე შევლა!

მშობლიურ გრძობით შემოგხვევს ხელებს, ჰსურს დაუევაფას, დაუტკობს სული, მაგრამ მის ნაცვლად იღვამელ გრძობით თავისი კვნესა ასმინა ხანად.

ტურფა. თუ ჩვენ სიცოცხლის გამჰქნარ მდელიოზე სულ მთლად გამშრალა ნუგეშის წყარო, ცაში აჰხედე, მისი აჩრდილი ღრუბლებათ მაინც იქნება ჰნახო, იქნება ნამად მაინც დამეცეს, და სანუგეშოდ ეს გავიხადო.

თუ ჩვენ სიცოცხლის ეხლანდელ ცაზე აღარც ღრუბლები მოსჩანან სადმე, იქნებ წარსულის ნიავთა ქროლამ ჩამოგვიტაროს მცირე ნაწყვეტი; დამჰქნარი გულის გასაცოცხლებლად კმარა ნამისა სულ მცარე წვეთი.

ლანდია. დე, გაზრეს წყარო, გაქრენ ღრუბლები, იმათ არ იგლოვს ჩემ გულის ნატვრა!

მოდი ჩაგაკრა მკერდში მხურვალედ, იქნებ გაამო, გაგიტბო გული, თუ კიდევ ღვივის ჩემ გულში სითბო და არ გამქრალა, როგორც წარსული.

მაგრად მიიკრავს მკერდზე თვის სატრფოს, თვის ტუფი გუჯით ჰფიქრებს გაათბობს.



სტუდენტი დოლიძე (მანდალინისტი).

17 ოქტომბერს ოქროს მენდალი მიიღო ჯილდოდ სტუდენტ-სახალხო სახლში გამართულ მუსიკურ კონკურსზე.

ტურფა. მე მიინც მკივა!

ხუ თუ არ დევაფს შენ გულში კვალად მძლე სიყვარული!

ლანდია. მეც მკივა!.. მყინავს! სულ მთლად მაქრეოლებს!

აბა, გახედე ჩვენ გავლილ ჯგზას იქ, შორს წარსულში! ხედავ იმ გორას, ყვავილები რომ ამშვენებდენ და მზის სხივები ნეტარებით ზედ დაჰხაროდენ.

გახსოვს პირველად რომ გიხილე ვით ზეციური, გულს

რომ აღმიგზენ ტრფობას ცეცხლი, გრძობა ძლიერი?
რა სიბო იყო, რა სინათლე, რა სიხარული! ორთავეს
გეწავდა გულის ცეცხლი და სიყვარული.

ტურზა. ვიცნობ! მახსოვს! ვით სიხარო თვალწინ მიდ-
გია მზისა სხივები, გულის ძვერა, თვალთ მფრქვევი ცეც-
ხლი...

ლანდია. მაშ დაგთბებოდა მაგ ნეტარ დღის მოგონე-
ბაზე და სიხარულიც ნათელ სხივთ გაგიღვებდა.

ტურზა. მე ისევ მცივა! მომეკარ ახლოს!
გულიც მიკვნისის.

ლანდია. უფრო იხუტებს მაინც ცდილობს კაათ-
ბის გრძობით.

გახსოვს, ჩიტებიც რომ ვალობდენ, და ჯდმურტულობ-
დენ და ტრფობის გთქობაც ბანს აძლევდა იმათ სიმღერას,
ძლიერი გრძობა ტკბილ ჰანგებდა გვიძვერდა გულში და
ქერუბინიც ჩვენ გვაქვებდენ ტკბილ სიყვარულში?..

ტურზა. მახსოვს, და ან კი დამავიწყდება! ასე მგონია
ეს მოგონება თვით საფლავშიაც კი ჩამომყვება.

ლანდია. და ემაგ ნეტარ მოგონებაზე მაინც არ
სცხრება, გიკვნისის გული?

ტურზა. მაინც მიკვნისის, როგორც ობოლი, შორს
ულაბნოში მიტოვებული, სადაც არ მესმის ხმა სანუგეშო
არცა ღვთისაგან, არც კაცისაგან და ვითა ქარი მძლე და
საზარი, ირგვლივ გაისმის მის გულის კვნესა.

მეგობარი. ვაჰ, როგორ დასკვნა ტურფას სახე, მისი
მშვენება! ტკბილსა ლაქუცში, ნახ გრძობაში როგორ
შთაინთქა მის ღვთაებრივი სილამაზე და წარმტაცობა.

აწ დაგიღამდათ ნათელი დღე სიყვარულისა და სიბნე-
ლეში იშობება თქვენ გულის კვნესა.

თქვენსა სიყვარულს აწ დაუდგა ცივი ზამთარი, სულ-
საც გიცივებთ, გულს გიყინავთ, მთლად გაქანკალებთ — ვაჰ,
ესეთ ზამთარს რომ არ მოსდევს თან გაზაფხული! დრომ
დაამარცხა თქვენი გული და სიყვარული.

ლანდია. ამ სიცივეში ეს ცივი ხმა უფრო მაშფოთებს;
ვითა ყორანი, თავს დამჩხავის, სიკვდილს მაგონებს.

იღუმალი ხმები. ყველა მიდის, ყველა ჰქრება, რაც
კი ქვეყნად მოვლენილა, სახეს იცვლის, სხვაგან მიჰქრის,
სამუდამო არ ყოფილა.

მეგობარი. ხედავ იღუმალი ხმები რას გიმღერენ, რას
გასმენენ, სიტკბოს ნაცვლად ტანჯვის ქიქით რას გისხავენ,
რას გასმევენ.

ლანდია. ვხედავ, დავლევ, რასაც მიძღვნის ჩემი ბედი
და იღბალი, იქნებ ცოტად შევამცირო ქვეყნად კვნესა და
ძიმწარი.

მარცხით გაჰდის ღანდას შეიდი, იქნება თით-
ქმის თხუთმეტის წლისა, თუმც დაჩაგრული, დასუსტე-
ბული ზატარად მოსჩანს ის თვალისთვის,

ეტეობა იგი უსინათლოა, ხელებ-ფათურით შემო-
დის შიგნით; ფხიზელი სმენით სცდილობს გაიგოს
თუ სუფიერი ვინმეა ახლას.

ლანდიას შვილი. ნე სუნთქვა მესმის. ეს დედა არის,
მამაც აქ არის... ორთავე ერთად...

მივა დედასთან და მკერდს ჩაეკვრის.

მითხარი დედავ, რათ გიცემს გული, თითქოს ჰკვნესი-
სო, იტანჯებო?

ტურფა მიიკრავს მხურვალედ მკერდზე, შეიდიც
სახეზე ხელს უდაცუნებს.

ლოყებზე გატყობ ჩემის თითებით ცხარე ცრემლები
ჩამოგდენია...

რაზედ სტიროდი? რად გიცემს გული? იქნებ იგლოვ-
ჩემი დაბადებას?

ტურზა. არა გენაცვა! რა აქვს საგლოვი...
ქვეიან ბიქუნას?

ლანდიას შვილი. ესა ღანდას მიეკვრის ჰკერ-
დზე და მის სახესაც დაუწევს შინჯვას.

მამავ! შენც გატყობ მოწყენილი ხარ, თუმცა ცრემ-
ლები არ დაგიღვრია. ნეტავ ვიცოდე რამ შეგაწუხათ! რა-
ტომ არ მეტყვიო? არა მცნობთ ღირსად?

განა ცოტაა გულსაჯენი ამ ქვეყანაზე, რასაც ჯერ
შენი ნორჩი გული ვერ შეითვისებს?..

მეგობარი. ტანჯვად იშობა ტკბილი ოცნება! ბრმად
დაიბადა შენი იმედი.

რალას უყურებ? ნუ თუ გგონია კვლავ გაგიღიმებს ამ
ქვეყნად ბედი?

ლანდიას შვილი. ვინ ჩაგჩურჩულებს ჩემზე რალაცას?
თითქოს ნიშანს გიგებს და გულს გიღონებს?..

არავინ არის კარგო ბიქუნავ! ალბად თუ გესმის ჩემი
ფიქრები, შენ დარდი ნუ გაქვს სულ გვეყვარები თუ მარად
ეგრე კარგი იქნები.

ტურზა. მაგნად ჩაგკონის თვალებში ზიარშხს,
თითქოს ეგონა ძლიერის კონით დახასყვება მზესა
და მთვარეს და გაჭკურნადა სამარადისოდ, კონით
შთანთქავდა მის ბედსა მწარეს.

ლანდიას შვილი. მინდა რამით განგიფანტოთ ეგ
ღრუბლები მოწყენისა. მსურს ტკბილ ხეებში რომ ჩავაღრჩო
თქვენი გულის მწარე კვნესა.

შეკრე ოთახში დახმობებს გასყვას, ტურფა მისვდა
მის გულის წადილს. გადის და მოაქვს შეიღისთვის
სკრამპა შეკობა ერთ კუთხეში ატუხულა შეუმსხვე-
ლად.

ლანდიას შვილი. ხელში აიღებს საყვარელ თვის
ქნახს, გრძობით შეახებს თითებს სიმებს, მის კვნე-
სით სცდილობს, რომ გულის კვნესა შეებად გაკდა-
ქმნას და ნეტარებად.

თვითაც სტკებოდა ამ სიამითა ვღერით. მათ იღუ-
მალ ხმებს, გრძობათა აღმძვრელს ის შეეთვისა თვის
ნახი გრძობით.

ღანდას გულმა შესწევითა ფეთქვა მისმა ტურ-
ფამაც განაბა სული. სიამო ხმები გაკნს მოკნეოვნენ,
შეგბოჭეს მათა გრძობა და სული.

თითქოს ნახ ხმებში თან ჩააქსოვა ბავშვმა თავისი
ძლიერი გრძობა, მას ჩაატანა თავისი ცრემლები და
მწარე კვნესა, თუ რათ იშობა.

აჰ, ამ შეგნესარე სიმთა ვღერაში რა ტკბილი ხმე-
ბი იბადებოდენ, იმათის სმენით იქ, მადლა ცაში,
თვით ანგელსანიც დადუმებოდენ, უურს დაუგებდენ,
მომხიბლავ ჰანგებს, ინეტარებდენ და დასტებოდენ.

აჰ, ამ ნახ ხმებში რა სიამაუე და რა მუქარა იხს-
ტებოდა! განგების აზრსა, შემოქმედებას ზედ დაჭ-
კვნესოდა და მწარედ ჰგებოდა.

იღუმალ ხმებით, სიმთ ანაფდერით თითქოს ვგედ-
რებით ეკითხებოდა: „თვით თვალ ხილულისაც მთელ
ქვეყანა ბნელსა უდასოდ მოკნეოვნება, შეკი ბრმად
მშობე ამ ქვეყანაზე და მით წველიადი გამიფრტე-
სად გაქვს სიამართლე! ნუ თუ შენც ბრმა ხარ ცათა-
მხურვალედ, მიუწდომელი ვის შეუღადადო მამ ჩემი
ტანჯვა! სჯობს დამიტორო ჩემი მშობელი!“

მტკვრდენ ხმები და თითქოს ირგვლივ სცდილავ
ბავშვის კვნესად ისმოდენ.

სტკვრდენ გრძობანი და თავინთ ტანჯვით ამ ხმებ-
ში ტკბილად კისრეობდენ.

უკვლა ტანჯვანი, უკვლა ჩატრანის ჩანგის მომხიბ-
ლავ ხმებდა აქცია და განგების უსამართლობა გული-
დან ქვეყნად ამოაქცია.

ლევ. შეტრფელი.

შემდეგი იქნება